

ფაქტობრივი მონაცემები: ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს 2016-2019 წლების უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულება

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და აშშ-ს თავდაცვის მდივნის თანაშემწის მოადგილემ დოქტორმა მაიქლ კარპენტერმა ხელი მოაწერეს უსაფრთხოების სფეროში სამწლიანი თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ორმხრივი თანამშრომლობის გრძელვადიან ამოცანებს, ითვალისწინებს პრიორიტეტებისა და რესურსების დაგეგმვის თავსებადობას და ხელს უწყობს მტკიცე თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას.

ჩარჩო ხელშეკრულება ეყრდნობა ჩვენს ქვეყნებს შორის გაფორმებულ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების მემორანდუმს, და ეხმიანება ქართული თავდაცვის კონცეფციებს.

აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განსაზღვრეს შემდეგი ყოვლისმომცველი მიზნები და ამოცანები, რომელთა მიხედვითაც წარიმართება ორმხრივი თანამშრომლობა:

- საქართველოს შეირადებული ძალების თავდაცვითი უნარების გაუმჯობესება
- ეფექტური და მტკიცე ქართული თავდაცვის ინსტიტუტების შექმნა
- ქართული შეირადებული ძალების ნატოსთან თავსებადობის გაძლიერება
- პროფესიონალური და ეფექტური სამხედრო ხელმძღვანელობის განვითარება

6 დეკემბერი 2016

ჩარჩო ხელშეკრულებით განსაზღვრული პრიორიტეტების, ამოცანებისა და მოთხოვნების გადახედვა და განახლება მოხდება ყოველწლიურად მაღალი დონის, თავდაცვის ორმხრივ კონსულტაციებზე.